№ 212

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 04 --------- ივნისი 2014 წ.

ერთის მხრივ ***თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი,*** *მისამართი: ბორჯომი, მესხეთის ქუჩა №5, საიდენტიფიკაციო კოდი 226161961 (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ბესიკ ქურდაძის სახით*

და მეორეს მხრივ ***ინდივიდუალური მეწარმე დავით დათუნიშვილი,*** *მისამართი: ბორჯომი, რაზმაძის ქ. №41, საიდენტიფიკაციო კოდი 11001000552 (შემდგომში „მიმწოდებელი“), მათ შორის*

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა ***ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიხარულაში სასაფლაოს შემოღობვის (CPV 45200000) სამუშაოებზე,*** *რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შეასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაოები შემდეგი თანხით:* ***4070 (ოთხი ათას სამოცდაათი) ლარი 00 თეთრი*** *(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“)*

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის #471 განკარგულების საფუძველზე "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ"

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 *ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიხარულაში სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოებზე სამუშაოები წინასწარ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.*

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს 4070 (ოთხი ათას სამოცდაათი) ლარს 00 თეთრს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. **სტანდარტები**

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

5. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წარილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოს და წუნდების მიზეზების მითითებით;

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.4. მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და სამუშაოების ხარისხის კონტროლი;

5.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

6. **სამუშაოების შესრულების ვადა**

6.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) დღის ვადაში.

6.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

"შემსყიდველი" ---------- "მიმწოდებელი"----------

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. „შემსყიდველი" შესრულებული სამუშაოს მიღებას მოახდენს ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით.

7.2 მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

8. ანგარიშსწორება და ვალუტა

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოს შესრულებაზე გაწეისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

8.2. გაწეული სამუშაოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

8.3 ანგარიშწორება განხორციელდება ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოს დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.4 ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოების ფაქტიურად გაწეული დანახარჯების მიხედვით (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის ბრძანება №55 "სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ"), რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ყველა გაწეული ხარჯის შესაბამისი სასაქონლო ზედნადები ან/და ანგარიშ-ფაქტურა.

8.5 წინასწარი გადახდის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია.

9. ფასები

9.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი, შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

9.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის მიერ ყველა მონაცემის მიხედვით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. მხარეთა უფლება–მოვალეობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

– სამუშაოების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

14.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

"შემსყიდველი" ---------- "მიმწოდებელი"----------

14.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
14.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. თუ მიმწოდებელი:
ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას გათვალისწინებულ ვადაში;
ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
გ) სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.
15.2. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
15.3 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე აგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
15.4 თუ მიმწოდებელი გადააცილებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.
15.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
15.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი;

16. გარანტია

16.1 მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელს, რომლის განამავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.
16.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
17.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
17.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

18. დაუძლეველი ძალა

18.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;
18.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
18.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
19.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

20. გამოყენებული სამართალი

20.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

"შემსყიდველი" ---------- "მიმწოდებელი"----------

21. **ხელშეკრულების ენა**

21.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

22. **შეტყობინება**

22.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

23. **გადასახადები და დაბეგვრა**

23.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

24. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

24.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 აგვისტომდე.

24.2. ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 3 (სამი) პირი შემსყიდველთან.

შემსყიდველი:

ბორჯომის მუნიციპალიტეტი
მისამართი: ბორჯომი, მესხეთის ქუჩა №5,
საიდენტიფიკაციო კოდი 226161961
ს.ს. „თიბისი ბანკი“ სამცხე/ჯავახეთის ფილიალი, ბანკის კოდი **TBCBGE22**
ა/ა GE25TB0105833030100001

მიმწოდებელი:

ინდ. მეწარმე დავით დათუნიშვილი
მისამართი: ბორჯომი, რაზმაძის ქ. №41
საიდენტიფიკაციო კოდი 11001000552
ს.ს. „თიბისი ბანკი" სამცხე/ჯავახეთის ფილიალი, ბანკის კოდი **TBCBGE22**
ა/ა № GE90TB7331136010100008

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

_____ ბ. ქურდაძე

ბ. ა.

ინდ. მეწარმე

_____ დ. დათუნიშვილი

ბ. ა.

"შემსყიდველი" ----------

"მიმწოდებელი"----------